

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს
ნ. ბ.

სისხლის სამართლის საქმე N. დაკავშირებით

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

*წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს
ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად*

ქალბატონო ნ.,

როგორც მოგეხსენებათ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენის თანახმად, დადგინდა, რომ 2018 წლის 30 სექტემბერს, ა. კ-ს და გ. ს-ს მიერ მიყენებული ჭრილობების შედეგად, გარდაიცვალა ვიტალი საფაროვი.

ვინაიდან წინამდებარე სისხლის სამართლის საქმეში მსჯელობა შეეხებოდა სავარაუდო სიძულვილის მოტივს, სახალხო დამცველმა, როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმმა, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, საქმეზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრების (Amicus Curiae) წარდგენის გადაწყვეტილება მიიღო. დანაშაულის გამოძიების და სამართალშეფარდების დროს სიძულვილის მოტივის გამოკვეთა წარმოადგენს თანასწორობისათვის ბრძოლის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას. შესაბამისად, აღნიშნულ დოკუმენტში სახალხო დამცველი იმსჯელებს სავარაუდო სიძულვილის მოტივზე. წინამდებარე დოკუმენტით, საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე, სახალხო დამცველი წარმოადგენს სიძულვილის მოტივის ინდიკატორებს და ყურადღებას გაამახვილებს სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მნიშვნელობაზე.

1. სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მომართვის უფლებამოსილება

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად: „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.“

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.“

საკითხის მაღალი მგრძობელობის გათვალისწინებით და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, ესარგებლა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით და საქმის განმხილველი სასამართლოსთვის წარედგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae).

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

2. სავარაუდო სიძულვილის მოტივთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის 31 ოქტომბრის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ა. კ-მ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში - ეროვნული შეუწყნარებლობის გამო. ხოლო, 2019 წლის 8 აპრილის ბრალდების შესახებ დადგენილებების (N., N.) თანახმად, არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ გ. ს-მ და ა. კ-მ ჩაიდინეს განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში - ჯგუფურად, ეროვნული შეუწყნარებლობის გამო.

- მოწმეთა მიერ ბრალდებულების დახასიათება

2018 წლის 15 ოქტომბრის ი. ქ.¹ გამოკითხვის ოქმის (N.) თანახმად, გ. ს. ყველა არაქართველს ეძახდა *სუსტს* და ამბობდა, რომ „სუსტები უნდა დაიხოცონ“. მას ასევე არ უშვებდნენ კაფე-ბარ „შოთ-თაიმსში“, რადგან გ. ს-მ იქ მომუშავე არაქართველ პერსონალს მიაყენა შეურაცხყოფა. ამ ფაქტის თაობაზე უფრო დეტალურად ი. ქ-მ ისაუბრა სასამართლო სხდომაზე და გაიხსენა,² რომ 2017 წლის 27 ოქტომბერს, გ. ს. შეურაცხყოფა მიაყენა ინდოელ მენეჯერს, რადგან ს. წუხდებოდა იმ ფაქტით, რომ უცხოელებს ჰქონდათ საქართველოში ბიზნესი. სწორედ აქედან გამომდინარე, ი. ქ-მ ამ

¹ ი. ქ. იცნობს გ. ს-ს, თუმცა არ აქვს მასთან ახლო ურთიერთობა. ის შესწრებია რამდენიმე ფაქტს, როდესაც გ. ს. გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას უცხოელების მიმართ

² 2019 წლის 3 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 1:53:56 წუთიდან

ინციდენტის თაობაზე აცნობა პოლიციის ოფიცერს. 2018 წლის 15 ოქტომბრის პოლიციის ოფიცრის ა. გ-ს გამოკითხვის ოქმის (N.) თანახმად, ბარ „შოთ-თაიმსში“ განვითარებული მოვლენების შემდეგ, რომლის თაობაზე მას ი. ქ-მ აცნობა, ოპერატიული შესწავლის გზით, მან დაადგინა, რომ გ. ს-ს მეტსახელი იყო „სლეიერა“ და რომ ის იყო ნეო-ნაცისტური იდეების მიმდევარი.

2018 წლის 16 ოქტომბრის ჯ. ზ-ს გამოკითხვის ოქმის (N.) თანახმად, ის გ. ს-ს იცნობს 2011 წლიდან, თუმცა, მასთან ახლო ურთიერთობა არ ჰქონია. მას აქვს ინფორმაცია, რომ გ. ს. არის ნეო-ფაშისტი, იგივე ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიის მატარებელი და, შესაბამისად, მას ყველა ერი ეზიზღება ქართველის გარდა. გამოკითხვის თანახმად, გ. ს. აგრესიულია, როდესაც საქართველოში ადამიანები საუბრობენ სხვა ენაზე.

2019 წლის 3 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერის თანახმად, ს. ბ.მ³ განაცხადა, რომ გ. ს-ს და მის მეგობრებს აკრძალული ჰქონდათ ბარ „შოთ-თაიმსში“ შესვლა, რადგან ის მუდმივად აყენებდა შეურაცხყოფას უცხოელებს და რომ ისინი ფაშისტური იდეოლოგიის მატარებლები იყვნენ. გ. ს. ბარის ინდოელი მეპატრონის მიმართ იყო აგრესიული და მუდმივად აგინებდა, ერთხელ კი გადამტვრეული ლუდის ბოთლი მიაღო მას.⁴

იმავე დღეს, სხდომაზე, ეს ისტორია დაადასტურა მოწმე გ. შ.მ.⁵ მან ასევე გაიხსენა საუბარი გ. ს-სთან რელიგიის თაობაზე. კერძოდ, გ. შ-მ გ. ს-სთან ახსენა, რომ ის იყო ქრისტიანი, რაზეც ბრალდებულმა უპასუხა, რომ იესო იყო ებრაელი და ადამიანი ქრისტიანი ვერ იქნება, თუ ის ნაცისტია.⁶ გ. შ-მ დაადასტურა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ის იზიარებდა გ. ს-ს შეხედულებებს და გაიხსენა, რომ ის და გ. ს. ერთად ხშირად აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას უცხოელებს და აგინებდნენ მათ.⁷

იმავე დღეს, სასამართლო სხდომაზე მოწმე ნ. გ-მ⁸ გაიხსენა გ. ს-სთან საუბარი, როდესაც მან აღნიშნა, რომ უცხოელებს არ აქვთ წმინდა სისხლი და ქართველებთან

³ ს. ბ. იცნობს გ. ს-ს ბარ „შოთ-თაიმსიდან“, თუმცა, არ აქვს მასთან ახლო ურთიერთობა. ის შესწრება რამდენიმე ფაქტს, როდესაც გ. ს. გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას უცხოელების მიმართ

⁴ 2019 წლის 3 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 10:00 წუთიდან

⁵ 2019 წლის 3 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 1:16:00 წუთიდან

⁶ 2019 წლის 3 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 1:44:00 წუთიდან

⁷ 2019 წლის 3 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 1:45:00 წუთიდან

⁸ ნ. გ. ახლოს არ იცნობს გ. ს-ს

მათ აღრევას, მაგალითად ქორწინებას, ის კატეგორიულად ეწინააღმდეგება, რადგან ეს გამოიწვევს ქართული სისხლის დაბინძურებას.⁹

ნ. შ-მ სასამართლო პროცესზე განმარტა, რომ ა. კ. გაიცნო სპორტულ დარბაზში და დაინტერესდა მის სხეულზე გამოსახული „სვასტიკით“, რაზეც კ-მ განუმარტა რომ „საქართველო ქართველებისთვისაა“. მოწმის განმარტებით, სწორედ ამ პატრიოტულმა მოტივებმა დააინტერესა ის და დაუახლოვდა ბრალდებულს.¹⁰ მოწმემ განმარტა, რომ უცხოელებს („თურქი, ინდოელი, ებრაელი მნიშვნელობა არ ქონდა“) სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ, თუმცა ფიზიკურ შეურაცხყოფას ვერ აყენებდნენ, რადგან ლესელიძის ქუჩაზე მუდმივად მოძრაობენ პოლიციის თანამშრომლები. მოგვიანებით, ა. კ-მ გააცნო გ. ს., რომელიც უცხოელებს „ბინძურ სისხლიანებს“ ეძახდა.¹¹ მოწმემ ასევე გაიხსენა, თუ როგორ შეხვდნენ გ. ს-ს მეგობრებს ფაშისტური მისალმებით „ზიგ ჰაილით“.¹²

სასამართლო სხდომაზე, **გ. ს-მ** უარყო მოწმეთა ჩვენებები და განმარტა, რომ დედამისი არის ნახევრად აზერბაიჯანელი, შესაბამისად, ის თავად არის „ბინძური სისხლის“ და რადგან თავად არის „შერეული სისხლის“ ვერ ისაუბრებდა სისხლის აღრევაზე.¹³

- *მოწმეთა განმარტებები ვიტალი საფაროვის მკვლელობის დღეს - 2018 წლის 30 სექტემბერს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით*

2018 წლის 19 ოქტომბრის **ო. გ-ს** გამოკითხვის ოქმის (N.) თანახმად, ის იყო ვიტალი საფაროვის მეგობარი და მკვლელობის თვითმხილველი. მისი აზრით, ვიტალი საფაროვის მკვლელობის მიზეზი მისი პროფესიული საქმიანობა და ეროვნება გახდა. 2019 წლის 5 აპრილის **ო. გ-ს** გამოკითხვის ოქმის (N.) თანახმად, ის და ი. ბ. ცდილობდნენ გ. ს-ს შეჩერებას, რომელიც უყვიროდა ა. კ-ს „მოკალი მაგ ებრაელიო“. **ო. გ-მ** სასამართლო სხდომაზე გაიხსენა, რომ ა. კ. მივარდა ვიტალის, დაუწყო დანით დარტყმა და თან აგინებდა („შენი ებრაელი დედა“). ამ დროს ის და ი. ბ. აკავებდნენ გ. ს-ს, რომელიც ხელიდან გაუსხლტათ, უკნიდან გააკავა ვიტალი საფაროვი, რომელსაც ურტყამდა „კასტეტს“ და თან კ-ს უყვიროდა მოკალი „ამის ებრაელი დედა“-ო.¹⁴ მოწმის

⁹ 2019 წლის 3 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 2:39:00 წუთიდან

¹⁰ 2019 წლის 14 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 4:00 წუთიდან

¹¹ 2019 წლის 14 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 6:00 წუთიდან

¹² 2019 წლის 14 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 7:40 წუთიდან

¹³ 2019 წლის 19 ივნისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 1:02:00 წუთიდან

¹⁴ 2019 წლის 13 ივნისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 1:36:20 წუთიდან

განმარტებით, შემთხვევის ადგილზე უნდა მოეკლათ ან ის ან ი. ბ.¹⁵, რადგან მათ შელაპარაკება ჰქონდათ ნ. შ-სთან, ვიტალი საფაროვი კი მხოლოდ სიტუაციის განმუხტვას ცდილობდა.¹⁶

სასამართლო სხდომაზე მოწმე **ზ. მ-მ**, რომელიც მეგობრობდა გ. ს-სთან, გაიხსენა ს-ს აგრესიული დამოკიდებულება უცხოელების მიმართ, რასაც ის რამდენჯერმე შესწრებია კიდეც.¹⁷ ზ. მ. ასევე პირადად შეესწრო მკვლელობის ფაქტს და როგორც მან გაიხსენა, ა. კ. აგინებდა ვიტალი საფაროვს „შენი ებრაელი დედა“-ო და ურტყამდა დანას.¹⁸ ხოლო გ. ს. კ-ს მიმართავდა: „მოკალი ამის ებრაელი დედა“-ო.¹⁹

მოწმე **ნ. შ-მ** დაადასტურა, რომ ის მეგობრობდა ა. კ-სთან და გ. ს-სთან, ვიტალი საფაროვი კი პირველად მკვლელობის ღამეს ნახა. ნ. შ-მ სასამართლო პროცესზე გაიხსენა, რომ ვიტალი საფაროვმა მკვლელობის ღამეს ახსენა, რომ ის არის ებრაელი და უყვარს საქართველო. შემდგომ გაიხსენა, რომ საფაროვმა ის გამოაჯავრა და რადგან მოწმე ნასვამი იყო, ვერ მოითმინა დამცინავი საუბარი, გაიწია მისკენ და დაარტყა მუშტი. ვიტალი საფაროვი შებორძიკდა, ამის შემდეგ, ნ. შ-მ მოიქნია ფეხი და წაიქცა. როდესაც წამოდგა და ვიტალი საფაროვისკენ წასვლა დააპირა, დაინახა, ა. კ. როგორ წავიდა ვიტალი საფაროვისკენ, შეაგინა „შენი ებრაელი დედაო“ და დანა დაარტყა მუცელში. ამ დროს საფაროვმა სცადა უკან გაწევა, თუმცა, გ. ს-მ უკნიდან შებოჭა და კასტეტიტ ცემა დაუწყო, თან ყვიროდა, მოკალი „ამის ებრაელი დედაო“. ვიტალი საფაროვი რომ დაეცა, ნ. შ. გაიქცა ა. კ-თან და გ. ს-სთან ერთად.²⁰ მოწმემ გაიხსენა, რომ გაქცევის შემდეგ ა. კ-მ თქვა „მემგონი დავბრიდე ეს ებრაელიო“.²¹ მოწმემ განმარტა, რომ მკვლელობის მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ ვიტალი საფაროვი ებრაელი იყო. შესაბამისად, სხვა დროსაც, სხვაგან რომ შეხვედროდნენ ის შეიძლება ეცემათ მისი ეროვნების გამო.²²

მოწმე **ი. ბ.** (თვითმხილველი), არის ო. გ-ს²³ მეგობარი, რომელმაც შემთხვევის ღამეს გაიცნო ვიტალი საფაროვი. ბ-მ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ ა. კ. მივარდა

¹⁵ მოწმე ი. ბ. (თვითმხილველი), არის ო. გ-ს მეგობარი, რომელმაც შემთხვევის ღამეს გაიცნო ვიტალი საფაროვი

¹⁶ 2019 წლის 13 ივნისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 2:08:07 წუთიდან

¹⁷ 2019 წლის 23 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 5:00 წუთიდან

¹⁸ 2019 წლის 23 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 17:42 წუთიდან

¹⁹ 2019 წლის 23 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 18:26 წუთიდან

²⁰ 2019 წლის 14 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 12:00 წუთიდან

²¹ 2019 წლის 14 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 14:20 წუთიდან

²² 2019 წლის 14 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 24:35 წუთიდან

²³ ო. გ. არის ვიტალი საფაროვის მეგობარი და მკვლელობის თვითმხილველი

ვიტალი საფაროვს და დაარტყა დანა სიტყვებით „შენი ებრაელი დედა.“²⁴ ამის შედეგ გაკავებული გ. ს. ხელიდან დაუსხლტათ, რომელმაც ვიტალი საფაროვი უკნიდან გააკავა და კ-ს უთხრა „მოკალი ამის ებრაელი დედა“-ო.²⁵ მოწმემ განაცხადა რომ ვიტალი საფაროვს, იმ ღამეს, არავისთვის არც სიტყვიერი და არც ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია,²⁶ თუმცა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბრალდებულები გააღიზიანა მისმა რუსულმა საუბარმა და ვიტალის ნათქვამმა, რომ ის ებრაელი იყო.

ზემოთგანხილული ფაქტებიდან გამომდინარე, შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ს. ბ-მა, გ. შ-მ, ნ. გ-მა, ი. ქ-მ, ნ. შ-მ და ზ. მ-მ სასამართლოს მიაწოდეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბრალდებულები იყვნენ ნაციისტური იდეოლოგიის მატარებლები და უარყოფითად განწყობილები უცხოელების მიმართ. 2018 წლის 30 სექტემბერს მომხდარი მკვლელობის ყველა თვითმხილველი მოწმე - ო. გ., ზ. მ., ი. ბ. და ნ. შ., რომელთაგან, ნ. შ-ს და ზ. მ-ს გ. ს-სთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, აღნიშნავენ, რომ ა. კ-მა ვიტალი საფაროვს დაარტყა დანა და მიმართა სიტყვებით „შენი ებრაელი დედა“, ხოლო გ. ს. ვიტალი საფაროვს უკნიდან აკავებდა და კ-ს უყვიროდა „მოკალი ამის ებრაელი დედა“-ო.

- *თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი*

გადაწყვეტილების გამოცხადებისას, მოსამართლემ აღნიშნა, რომ კონფლიქტის დაწყების მიზეზი არ გამხდარა ვიტალი საფაროვის ეთნიკური კუთვნილება. გარდაცვლილის ეროვნების თაობაზე, ბრალდებულებისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ მოგვიანებით, როდესაც კონფლიქტი უკვე დაწყებული იყო. მოსამართლემ განმარტა, რომ პირველად, მუშტით დარტყმა განახორციელა ნ. შ-მ და არა ბრალდებულებმა, რომლებისთვისაც უკვე ცნობილი იყო ვიტალი საფაროვის ეროვნება. ნ. შ-მ ვიტალი საფაროვის მიმართვა დაცინვად აღიქვა, რაც კონფლიქტის გამწვავების მიზეზი გახდა.²⁷ ამ დრომდე ბრალდებულები არ გამოხატავდნენ საფაროვის მიმართ აგრესიას და მხოლოდ, ნ. შ-ს დარტყმის შემდეგ ჩაერთვნენ

²⁴ 2019 წლის 17 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 13:00 წუთიდან

²⁵ 2019 წლის 17 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 13:25 წუთიდან

²⁶ 2019 წლის 17 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 19:50 წუთიდან

²⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი, გვ. 34: „კონფლიქტის დაწყებისას ბრალდებულებისთვის იყო ცნობილი საფაროვის ებრაელობის თაობაზე, თუმცა მის მიმართ აგრესია მათი მხრიდან ამ კუთხით არ გამოხატულა. გ. ს-ს გაღიზიანება, ისევე როგორც შ., განაპირობა არა საფაროვის ეროვნებამ არამედ მისმა მიმართვამ შ-ს მიმართ („შენო მაგარი ბიჭი ხარო...რა მაგრად მოძრაობ“). დადგენილია რომ ბრალდებულები ჩხუბში მხოლოდ მას შემდეგ ჩაერთნენ რაც ნ. შ., რომელიც მათი მეგობარი იყო, ზ. მ-ს მხრიდან მაისურზე დაქაჩვის შემდეგ ძირს დაეცა. შესაბამისად, სასამართლო ვერ გამოიცილებს, რომ მსგავს სიტუაციაში, საფაროვის ნაცვლად ეროვნებით ქართველის მიმართ ბრალდებულები იმავს არ განახორციელებდნენ.“

ფიზიკურ დაპირისპირებაში.²⁸ მოსამართლემ განმარტა, რომ სიძულვილის მოტივის დასადგენად, აუცილებელია ის იყოს ერთადერთი მოტივი. სასამართლოს განმარტებით, სიძულვილის მოტივის დადგენისას, უნდა გამოირიცხოს ვარაუდი საფაროვის ადგილას ეთნიკურად ქართველი რომ ყოფილიყო, ბრალდებულები იმავეს არ განახორციელებდნენ. მოსამართლის მტკიცებით, აღნიშული გარემოება ვერ გამოიკვეთა მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, შესაბამისად, ამ ნაწილში ბრალი გამოირიცხა.²⁹

სასამართლოს განმარტებით, საქმის არსებითი განხილვისას გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა გ. ს-სა და ა. კ-ს მხრიდან ვიტალი საფაროვისთვის სიცოცხლის მოსპობის განზრახვის წარმოშობა, რაც განაპირობა მათსა და მათ თანხმლებ პირებს შორის მომხდარმა ურთიერთშელაპარაკებამ.³⁰ მოცემულ შემთხვევაში, ვიტალი საფაროვის მკვლელობა არ ყოფილა ჩადენილი ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე სიძულვილის მოტივით და ადგილი ჰქონდა შელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტს, რაც გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში და დასრულდა ეთნიკურად არაქართველის მკვლელობით.³¹ განჩინების თანახმად, მხარეებს შორის კონფლიქტი განაპირობა ვიტალი საფაროვის თანხმლები პირის ი. ბ-ს მხრიდან საუბრის წამოწყებამ მისთვის უცნობ გ. ს-სთან, რაშიც, ასევე, ჩაერთო ო. გ., შემდეგ კი - ნ. შ. მოგვიანებით კონფლიქტი გადაიზარდა ვიტალი საფაროვისა და ნ. შ-ს შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში, რაშიც მყისიერად ჩაერთნენ ა. კ. და გ. ს., რომლებიც ნ. შ-ს მეგობრები არიან.³²

სასამართლოს შეფასებით, სიძულვილის მოტივზე მსჯელობისას, მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობის მიზნის გარდა, აუცილებლად უნდა დადგინდეს სპეციალური მიზანი და დამნაშავეს სურვილი, თავისი ქმედებით სიცოცხლე მოუსპოს მისგან განსხვავებული რასის, რელიგიის, თუ ეთნოსის წარმომადგენელს და ეს უნდა იყოს დანაშაულის ჩადენის ერთადერთი მოტივი. სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულების სხვა ერების მიმართ არა კეთილგანწყობა არ წარმოადგენს მათი მხრიდან მკვლელობის ჩადენის დამადასტურებელ გარემოებას ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე, ხოლო მათი რელიგიური მრწამსი და შეხედულებები არ წარმოადგენს სასამართლო განხილვის საგანს.³³ სასამართლომ დამატებით აღნიშნა,

²⁸ 2019 წლის 27 ივნისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 10:37 წუთიდან

²⁹ 2019 წლის 27 ივნისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 12:00 წუთიდან

³⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი, გვ. 19

³¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი, გვ. 33

³² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი, გვ. 19-20

³³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი, გვ. 31

რომ არ გამოირიცხება ბრალდებულების უარყოფითი განწყობა უცხოელთა მიმართ, თუმცა უტყუარად დადასტურებულადაც ვერ იქნება მიჩნეული მსგავსი დამოკიდებულება ნებისმიერი სხვა ეროვნების ადამიანის მიმართ, რადგან გამოკვლეულ ვიდეოჩანაწერში ნათლად ჩანს ფერადკანიანი ადამიანი, რომელიც ჩვეულებრივ დგას ბართან და არანაირ აგრესიას ბრალდებულებში არ იწვევს. ამასთან, მართალია, ბრალდებულები გამოირჩეოდნენ აგრესიით უცხოელების მიმართ, თუმცა ფიზიკური შეურაცხყოფა მათთვის არასოდეს მიუყენებიათ.³⁴

სასამართლო არგუმენტებს აყრდნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას (*ნაჩოვა ბულგარეთის წინააღმდეგ*) და მიუთითებს, რომ სასამართლომ გასროლის შემდეგ წარმოთქმული სიტყვები „თქვე წყეულო ბოშებო“ არ მიიჩნია საკმარის საფუძვლად რასობრივ ნიადაგზე მკვლელობის დადგენისათვის.³⁵ შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ უშუალოდ ჩხუბის დროს ბრალდებულების მიერ ნათქვამი სიტყვები „მოკალი ამის ებრაელი დედა“ ან „შენი ებრაელი დედა“, ვერ შეფასდება იმგვარად, რომ ბრალდებულებმა მკვლელობა ეროვნული შეუწყნარებლობის გამო ჩაიდინეს. გადაწყვეტილების თანახმად, დანაშაულის ჩადენა ეროვნული შეუწყნარებლობის მოტივით ნიშნავს, რომ სწორედ ამ ნიშნის გამო დაიწყო დანაშაულის სუბიექტმა ქმედების შემადგენლობის განხორციელება და „ვერაფერს შემატებს ქმედების ამ დამამძიმებელი გარემოებით დაკვალიფიცირების საკითხს ბრალდებულთა მხრიდან ზემოთ ნათქვამი სიტყვები,“ მაშინ, როდესაც ბრალდებულებმა იცოდნენ ვიტალი საფაროვის ეროვნება, თუმცა მისთვის არანაირი ფორმით შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ და აგრესია მისი ეროვნული კუთვნილების მიმართ გამოხატეს, მხოლოდ ვიტალი საფაროვსა და ნ. შ.ს შორის ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ.³⁶

3. სამართლებრივი შეფასება საერთაშორისო სამართლის კრილში

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სახალხო დამცველი, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების კონტექსტში, ყურადღებას გაამახვილებს დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ სტანდარტებზე.

- *სიძულვილის მოტივის გამოკვეთის ზოგადი სტანდარტი*

³⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი, გვ. 32

³⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი, გვ. 35

³⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი, გვ. 35

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მიერ „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების შესახებ“ შემუშავებულ სახელმძღვანელოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაული განმარტებულია როგორც ქმედება, რომელიც ჩადენილია იმის გამო, რომ მსხვერპლი, რეალურად ან სავარაუდოდ, მიეკუთვნება რომელიმე ჯგუფს, უმეტესად, რასის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის, ეთნიკური წარმოშობის, ეროვნების, შეზღუდული შესაძლებლობების ან სხვა ნიშნით. სიძულვილით მოტივირებული დანაშაული შედგება ორი ძირითადი ელემენტისგან:

- სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედება (ე. წ. ძირითადი დანაშაული)
- ქმედება/უმოქმედობა, რომელიც მოტივირებულია მსხვერპლის მიმართ გარკვეულ ნიშან-თვისებაზე დაფუძნებული წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობით, ე. წ. სიძულვილის მოტივით - The bias motivation.³⁷

საერთაშორისო სამართლით ნაკისრი ვალდებულებების³⁸ თანახმად, სახელმწიფოებს ევალებათ, დაიცვან მათ იურისდიქციაში მყოფი ყველა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, მიიღონ კანონმდებლობა, რომელიც აუცილებელია ძირითადი უფლებებით სარგებლობისთვის. აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება ასევე კერძო პირების მიერ ჩადენილ ქმედებებზე, რომელზეც სახელმწიფო ორგანოების არასათანადო რეაგირებამ შესაძლოა ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევა გამოიწვიოს.³⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლებთან (წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის აკრძალვის უფლება) ერთობლიობაში სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას მის იურისდიქციაში მყოფი პირების უფლებები, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ დარღვევა კერძო პირებისგან მომდინარეობს.⁴⁰ ეს, პირველ რიგში, გულისხმობს, გონივრული ღონისძიებების გატარების ვალდებულებას იმ დანაშაულებრივი ქმედებების აღკვეთის მიზნით, რომელიც ხელისუფლების ორგანოებისთვის ცნობილი

³⁷ Prosecuting Hate Crimes a practical guide. გვ.19 ობ. ვებ-გვერდი: <http://www.osce.org/odihr/prosecutorsguide?download=true>

³⁸ საერთაშორისო პაქტი “სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ”, მე-2 მუხლი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-2 და მე-3 მუხლები

³⁹ „General comment no. 31 [80], The nature of the general legal obligation imposed on States Parties to the Covenant. Paragraph 8. ობ. ვებ-გვერდი: <http://www.refworld.org/docid/478b26ae2.html>

⁴⁰ ECtHR, Identoba And Others v. Georgia, Application no. 73235/12, § 66. ასევე ობ. ECtHR, A. v. the United Kingdom, 23 September 1998, § 22, მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1998-VI

იყო ან მათ ამის შესახებ უნდა სცოდნოდათ.⁴¹ ამასთან, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების თანახმად, ხელისუფლებას ეკისრება პროცედურული ვალდებულება - სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტი გამოიძიოს ეფექტიანად, იმ შემთხვევაშიც, თუკი სამართალდარღვევის ჩამდენი კერძო პირია.⁴²

ამასთან, ძალადობრივი ინციდენტების მიღმა არსებული შესაძლო დისკრიმინაციული საფუძვლის გამოვლენის ვალდებულება ნაგულისხმებია ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით (დისკრიმინაციის აკრძალვა) გათვალისწინებულ პასუხისმგებლობაში.⁴³ როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი, რომ დანაშაული ჩადენილია რომელიმე დისკრიმინაციული საფუძვლით, ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი დამატებით ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს - იმისათვის, რომ გამოძიება ეფექტიანად ჩაითვალოს, აუცილებელია, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება ჩატარდეს სავარაუდო სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით და ასეთი მოტივი არ დარჩეს სამართლებრივი რეაგირების მიღმა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს ევალება გაატაროს ყველა ღონისძიება, რათა გამოკვეთოს სისხლისსამართლებრივი დანაშაული ჩადენილი იყო თუ არა რასისტული მოტივით. კერძოდ, დაადგინოს, მსხვერპლის ეთნიკურმა კუთვნილებამ ითამაშა თუ არა რაიმე როლი მოვლენების განვითარებაში.⁴⁴ სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ რასისტული მოტივით ჩადენილი დანაშაულის არ გარჩევა სხვა დანაშაულებისგან იქნება სახელმწიფოს მხრიდან თვალის დახუჭვა ისეთ დანაშაულზე, რომელსაც შეიძლება დამანგრეველი ეფექტი ჰქონდეს ადამიანის უფლებებზე და არღვევდეს კონვენციის მე-14 მუხლს არღვევდეს.⁴⁵

ხელისუფლების ვალდებულება, აღკვეთოს ფიზიკური პირების მხრიდან სიძულვილის მოტივით განპირობებული ძალადობა, ასევე გამოიძიოს დისკრიმინაციულ მოტივსა და ძალადობის ფაქტს შორის სავარაუდო კავშირი, განიხილება როგორც კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების პროცედურული მხარე, მაგრამ ასევე შესაძლებელია, მიჩნეულ იქნეს როგორც ამ მუხლებით გარანტირებული ფუნდამენტური ღირებულებების დასაცავად მე-14 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აღკვეთის

⁴¹ ECtHR, *T.M. and C.M. v. the Republic of Moldova*, Application no. 26608/11, § 38

⁴² ECtHR, *M.C. v. Bulgaria*, Application no. 39272/98, § 151

⁴³ ECtHR, *Begheluri and Others v. Georgia*, Application no. 28490/02, § 173

⁴⁴ ECtHR, *Skorjanec v. Croatia*, no. 25536/14, 28/03/2017, § 53

⁴⁵ ECtHR, *Skorjanec v. Croatia*, no. 25536/14, 28/03/2017, § 53; *Beganović v. Croatia*, no. 46423/06, 25/06/2009, §§ 93-94; *Seidova and Others v. Bulgaria*, no. 310/04, 18/11/2010, § 70

პოზიტიური ვალდებულება.⁴⁶ ამასთან, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში რთულია რასობრივი თუ სიძულვილის სხვა მოტივის გამოკვეთა, გამოძიების ეტაზე ყველა შესაძლო ღონისძიება უნდა გატარდეს, რათა ნათლად წარმოჩინდეს, იყო თუ არა სახეზე დისკრიმინაციული მოტივი ანდა სტერეოტიპული განწყობა, რომელიც საფუძვლად დაედო დანაშაულებრივ ქმედებას.⁴⁷

ევროპული სასამართლო ყოველთვის ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ რასობრივი ძალადობა განსაკუთრებით შეურაცხმყოფელია ადამიანის ღირსებისათვის. შესაბამისად, სასამართლო მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატურ რეაგირებას, რათა დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი საზოგადოება მრავალფეროვნებას საფრთხედ არ აღიქვამდეს.⁴⁸

- *სიძულვილის მოტივი დანაშაულის სხვა მოტივებთან ერთობლიობაში*

თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ვიტალი საფაროვის მკვლელობა არ ყოფილა ჩადენილი ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე სიძულვილის მოტივით, არამედ ადგილი ჰქონდა შელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტს, რაც გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში და დასრულდა ეთნიკურად არაქართველის მკვლელობით.⁴⁹ სასამართლოს შეფასებით, სიძულვილის მოტივზე მსჯელობისას, მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობის მიზნის გარდა, აუცილებლად უნდა დადგინდეს სპეციალური მიზანი და დამნაშავეს სურვილი, თავისი ქმედებით სიცოცხლე მოუსპოს მისგან განსხვავებული რასის, რელიგიის, თუ ეთნოსის წარმომადგენელს და ეს უნდა იყოს დანაშაულის ჩადენის ერთადერთი მოტივი. შესაბამისად, სასამართლომ გამორიცხა შერეული მოტივის შემთხვევაში სიძულვილის მოტივის არსებობა.

სახალხო დამცველს სურს ყურადღება გაამახვილოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებაზე, სადაც აღნიშნულია, რომ სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაული შესაძლოა მხოლოდ მსხვერპლის მახასიათებელს არ ეფუძნებოდეს. შესაძლებელია დამნაშავეებს ჰქონდეთ შერეული მოტივები, კერძოდ, ისინი შესაძლებელია იყვნენ კონკრეტული სიტუაციის გავლენის ქვეშ, ასევე, მოქმედებდნენ თავიანთი წინასწარი განწყობით იმ ჯგუფის მიმართ, რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება.⁵⁰

⁴⁶ ECtHR, *B.S. v. Spain*, Application no. 47159/08, § 59-63

⁴⁷ იქვე, § 58

⁴⁸ ECtHR, *M.F. v. Hungary*, no. 45855/12, 31/10/2017, § 65

⁴⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი, გვ. 33

⁵⁰ ECtHR, *Skorjanec v. Croatia*, no. 25536/14, 28/03/2017, § 55; *Balazs v. Hungary*, no. 15529/12, 20/10/2015, § 70

ამასთან, ეუთოს განმარტებით, სიძულვილის დანაშაულს, ისევე როგორც სხვა დანაშაულს, ერთზე მეტი მოტივი შეიძლება ჰქონდეს.⁵¹ სიძულვილით მოტივირებული მრავალი დანაშაული ისეთი ინციდენტების დროს ხდება, რომლებიც სხვა მიზეზით დაიწყო, მაგალითად, საგზაო შემთხვევის შედეგად წარმოშობილი კონფლიქტი, და ეს მოტივები ინციდენტის მიმდინარეობისას რასობრივ ან სხვა ნეგატიური განწყობის დანაშაულში გადაიზარდა. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც სიძულვილის დანაშაულის ჩამდენებმა შესაძლოა მსხვერპლი ჩხუბში გამოიწვიონ. თავად ჩხუბის დროს ხშირად გამოიყენება რასისტული, ეთნიკური, რელიგიური, გენდერული თუ სექსუალური ორიენტაციის შეურაცხყოფელი გამონათქვამები. ასეთ საქმეებში დაცვა, ჩვეულებრივ, ცდილობს დაამტკიცოს, რომ ინციდენტი „უბრალოდ ჩხუბი“ იყო და არა ნეგატიური განწყობით მოტივირებული სიძულვილის დანაშაული.⁵²

2019 წლის 27 ივნისის განაჩენის თანახმად, სიძულვილის მოტივის დადგენისას, უნდა გამოირიცხოს ვარაუდი, რომ საფაროვის ადგილას ეთნიკურად ქართველი რომ ყოფილიყო, ბრალდებულები იმავს არ განახორციელებდნენ. სასამართლოს განმარტებით, ეს ვარაუდი მოწმეთა ჩვენებით არ გამოირიცხა.⁵³ ამასთან დაკავშირებით, სასურველია, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ მოწმე ო. გ-ს⁵⁴ განმარტებით, შემთხვევის ადგილზე უნდა მოეკლათ ან ის ან ი. ბ.,⁵⁵ რადგან მათ შელაპარაკება ჰქონდათ ნ. შ-სთან, ვიტალი საფაროვი კი მხოლოდ სიტუაციის განმუხტვას ცდილობდა.⁵⁶ საყურადღებოა ისიც, რომ განჩინების თანახმად, მხარეებს შორის კონფლიქტი განაპირობა ვიტალი საფაროვის თანმხლები პირის - ი. ბ-ს მხრიდან საუბრის წამოწყებამ მისთვის უცნობ გ. ს-სთან, რაშიც, ასევე, ჩაერთო ო. გ., შემდეგ კი - ნ. შ.⁵⁷

- *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*

⁵¹ Prosecuting Hate Crimes a practical guide. გვ.63 იბ. ვებ-გვერდი: <http://www.osce.org/odihr/prosecutorsguide?download=true>

⁵² Prosecuting Hate Crimes a practical guide. გვ.67 იბ. ვებ-გვერდი: <http://www.osce.org/odihr/prosecutorsguide?download=true>

⁵³ 2019 წლის 27 ივნისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 12:00 წუთიდან

⁵⁴ ვიტალი საფაროვის მეგობარი, მკვლელობის თვითმხილველი

⁵⁵ მოწმე ი. ბ. (თვითმხილველი), არის ო. გ-ს მეგობარი, რომელმაც შემთხვევის ღამეს გაიცნო ვიტალი საფაროვი

⁵⁶ 2019 წლის 13 ივნისის სასამართლო სხდომის აუდიო-ჩანაწერი, 2:08:07 წუთიდან

⁵⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი, გვ. 19-20

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (*ნაჩოვა ბულგარეთის წინააღმდეგ*) დაყრდნობით, პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე შეაფასა სიძულვილის მოტივის გამოკვეთის კიდევ ერთი ინდიკატორი - დანაშაულის ჩადენის დროს წარმოთქმული სიტყვები. საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ უშუალოდ ჩხუბის დროს ბრალდებულების მიერ ნათქვამი სიტყვები „მოკალი ამის ებრაელი დედა“ ან „შენი ებრაელი დედა“, ვერ შეფასდება იმგვარად, რომ ბრალდებულების მიერ ჩადენილი მკვლელობის მოტივი ეროვნული შეუწყნარებლობა იყო. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, დანაშაულის ჩადენა ეროვნული შეუწყნარებლობის მოტივით ნიშნავს, რომ სწორედ ამ ნიშნის გამო დაიწყო დანაშაულის სუბიექტმა ქმედების შემადგენლობის განხორციელება და „ვერაფერს შემატებს ქმედების ამ დამამძიმებელი გარემოებით დაკვალიფიცირების საკითხს ბრალდებულთა მხრიდან ზემოთ ნათქვამი სიტყვები,“ მაშინ, როდესაც ბრალდებულებმა იცოდნენ ვიტალი საფაროვის ეროვნება, თუმცა მისთვის არანაირი ფორმით შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ და აგრესია მისი ეროვნული კუთვნილების მიმართ გამოხატეს, მხოლოდ ვიტალი საფაროვსა და ნ. შ-ს შორის ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ.⁵⁸

რადგან პირველი ინსტანციის სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში *ნაჩოვას* საქმეს დაეყრდნო, სახალხო დამცველი მიზანშეწონილად მიიჩნევს სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია ამ პრეცედენტული გადაწყვეტილების თაობაზე. *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება. გადაწყვეტილებაში სასამართლომ იმსჯელა, სიძულვილის მოტივის განსაზღვრისთვის, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს დანაშაულის დროს წარმოთქმულ სიტყვებს „თქვე წყეულო ბოშებო“ სიძულვილის მოტივის განსაზღვრისთვის.⁵⁹ დიდმა პალატამ განმარტა, რომ როდესაც ძალის გამოყენება ხდება ეთნიკური უმცირესობის წინააღმდეგ და ჟღერდება რასისტული გამონათქვამები, ამ ფაქტორებს დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რომ გამოიკვეთოს სავარაუდო სიძულვილის მოტივი.⁶⁰ ევროპულმა სასამართლომ

⁵⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი, გვ. 35

⁵⁹ ECtHR, *Nachova and others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98, 43579/98, 06/07/2005, § 163

⁶⁰ ECtHR, *Nachova and others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98, 43579/98, 06/07/2005, § 164: „The Grand Chamber considers – as the Chamber did – that any evidence of racist verbal abuse being uttered by law enforcement agents in connection with an operation involving the use of force against persons from an ethnic or other minority is highly relevant to the question whether or not unlawful, hatred-induced violence has taken place. Where such evidence comes to light in the investigation, it must be verified and – if confirmed – a thorough examination of all the facts should be undertaken in order to uncover any possible racist motives.“

დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა მე-2 მუხლთან ერთობლიობაში,⁶¹ რადგან გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები ცალსახად შეიცავდა ინდიკატორებს, რომელიც სავარაუდო სიძულვილის მოტივზე მიუთითებდა.⁶² კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო ორგანოებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოთქმული სიტყვებისთვის („თქვე წყეულო ბოშებო“), გამოძიებული უნდა ყოფილიყო ინციდენტში ჩართული პირების დამოკიდებულება ბოშების მიმართ ან ხომ არ ყოფილან ისინი ჩართულ მსგავს ინციდენტებში მანამდე.⁶³

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 2015 წლის თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, განმარტა *ნაჩოვას* გადაწყვეტილება, რომელიც ავალდებულებდა სახელმწიფოებს, სათანადო ყურადღება მიექციათ დანაშაულის ჩადენისას წარმოთქმული რასისტული გამონათქვამებისთვის. 2015 წლის საქმეში, სასამართლო დაეყრდნო *ნაჩოვას* გადაწყვეტილებაში მოყვანილ განმარტებას და დაადგინა, რომ დანაშაულის დროს წარმოთქმული სიტყვა „ბოშა“, მიუთითებდა მსხვერპლის ეთნოსზე, რაც აჩენდა გონივრულ ეჭვს, რომ არსებობდა სიძულვილის მოტივი.⁶⁴

- *მსჯავრდებულთა შეხედულებები, გარეგნობა, გამონათქვამები როგორც სიძულვილის მოტივის ინდიკატორი*

თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სხვა ერების მიმართ ბრალდებულების არაკეთილგანწყობა არ წარმოადგენს მათი მხრიდან მკვლელობის ჩადენის დამადასტურებელ გარემოებას ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე, ხოლო მათი რელიგიური მრწამსი და შეხედულებები სასამართლო განხილვის საგანი

⁶¹ ECtHR, *Nachova and others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98, 43579/98, 06/07/2005, § 168

⁶² ECtHR, *Nachova and others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98, 43579/98, 06/07/2005, § 166

⁶³ ECtHR, *Nachova and others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98, 43579/98, 06/07/2005, § 167

⁶⁴ *Balazs v. Hungary*, no. 15529/12, 20/10/2015, §§ 60-61: „60. The Court notes at the outset that the authorities investigating the incident between the applicant and Mr E.D. had before them the statements of the applicant and Ms D.L., who both maintained that before the fight Mr E.D. had called the applicant a gypsy.

61. As the Court has previously held in the *Nachova* case concerning statements uttered by law enforcement agents in connection with an operation involving force against persons from an ethnic or other minority, any evidence of racist verbal abuse is highly relevant to the question whether or not unlawful, hatred-induced violence has taken place. Where such evidence comes to light in the investigation, it must be verified and – if confirmed – a thorough examination of all the facts should be undertaken in order to uncover any possible racist motives (see *Nachova*, cited above, § 164). Therefore, the impugned utterance, seen against the background of documented existence of prejudice and hostility against the Roma, called for verification as to the motives of the perpetrator, namely, if there were reasons to believe that Mr E.D.'s conduct constituted a hate crime (see paragraph 21 above).“

არ არის.⁶⁵ საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გამოკვლევულ ვიდეოჩანაწერში ნათლად ჩანს ფერადკანინი ადამიანი, რომელიც ჩვეულებრივ დგას ბართან და არანაირ აგრესიას ბრალდებულებში არ იწვევს. ამასთან, მართალია, ბრალდებულები გამოირჩეოდნენ აგრესიით უცხოელების მიმართ, თუმცა ფიზიკური შეურაცხყოფა მათთვის არასოდეს მიუყენებიათ.⁶⁶

სახალხო დამცველს სურს, ილუსტრაციისთვის მოიყვანოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება *აბდუ ბულგარეთის წინააღმდეგ*, სადაც სასამართლომ დარღვევა დაადგინა, რადგან სახელმწიფომ სათანადო ყურადღება არ დაუთმო დამნაშავეთა მიერ ჩხუბის დროს მსხვერპლისთვის მიყენებულ რასისტულ შეურაცხყოფას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დამნაშავეები იყვნენ „სქინჰედეები“ და ცნობილები თავისი რასისტული იდეოლოგიით. ასევე, მხედველობაში არ იქნა მიღებული დამნაშავეთა ჩაცმულობა.⁶⁷ ზემოთდასახელებული ინდიკატორები კი, სასამართლოს შეფასებით, იძლეოდა სათანადო მტკიცებულებებს რაც მიუთითებდა სიძულვილის მოტივზე.⁶⁸ საყურადღებოა ის საკითხიც, რომ საქმეში სიძულვილის მოტივის განსაზღვრისთვის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყოველთვის იღებს მხედველობაში რასისტულ გამონათქვამებს⁶⁹ და იმ ფაქტს, რომ თავდამსხმელები არიან ულტრა მემარჯვენე ორგანიზაციის წევრები, რაც, თავისი არსით, ექსტრემისტულ იდეოლოგიას წარმოადგენს.⁷⁰

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე გააკრიტიკა სლოვაკეთის მთავრობა 2018 წელს გამოტანილ გადაწყვეტილებაში, რადგან სახელმწიფომ უგულებელყო მსხვერპლის მიმართ გამოყენებული რასისტული გამონათქვამები. სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც გამოძიების დროს იკვეთება რასისტული სიტყვიერი შეურაცხყოფა, ეს წარმოადგენს სიძულვილის მოტივის არსებობის ინდიკატორს და განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ დამნაშავეები ექსტრემისტული იდეოლოგიით არიან გამსჭვალულნი.⁷¹ ამავე საქმეში, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მხედველობაში უნდა მიეღოს ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულები თავდასხმამდე მსხვერპლის ეროვნული ჯგუფის მიმართ აგრესიულად იქცეოდნენ.⁷² სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაშიც ხაზგასმით აღნიშნა,

⁶⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი, გვ. 31

⁶⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განაჩენი, გვ. 32

⁶⁷ ECtHR, *Abdu v. Bulgaria*, no. 26827/08, 11/03/2014, § 49; *Secic v. Croatia*, no. 40116/02, 31/05/2007, § 68

⁶⁸ ECtHR, *Abdu v. Bulgaria*, no. 26827/08, 11/03/2014, § 50

⁶⁹ ECtHR, *M.F. v. Hungary*, no. 45855/12, 31/10/2017, §§ 75-77

⁷⁰ ECtHR, *Milanovic v. Serbia*, no. 44614/07, 14/12/2010, § 98

⁷¹ ECtHR, *Lakatosova and Lakatos v. Slovakia*, no. 655/16, 11/12/2018, § 84

⁷² ECtHR, *Lakatosova and Lakatos v. Slovakia*, no. 655/16, 11/12/2018, § 86

რომ დამნაშავეები შესაძლოა მოქმედებდნენ შერეული მოტივით, თუმცა ეს არ ცვლის დანაშაულის დამამძიმებელ კვალიფიკაციას.⁷³ სასამართლომ დასკვნის სახით მიუთითა, რომ ზემოთგანხილული ინდიკატორები წარმოადგენს ძლიერ მტკიცებულებებს, რაც რასისტულ მოტივებზე მიუთითებს და რისთვისაც სახელმწიფოს ყურადღება უნდა მიექცია, რადგან არსებობს მუდმივი საჭიროება დაიგმოს რასიზმი, რათა უმცირესობას ჰქონდეს რწმენა, რომ სახელმწიფოს შესწევს უნარი, ისინი რასისტული ძალადობისგან დაიცვას.⁷⁴

ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილებების მსგავსი განმარტება გააკეთა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *გრიგორიანი და სერგეევა უკრაინის წინააღმდეგ*. სასამართლომ განმარტა, რომ დაუშვებელია სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის დროს რასისტული კომენტარების უგულვებელყოფა, ისევე, როგორც სათანადო ყურადღებას მოითხოვს გამოძიება იმის გამოსარკვევად, დამნაშავეები ყოფილან თუ არა წარსულში მსგავსი ინციდენტის მონაწილეები.⁷⁵ ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირებისთვის, მნიშვნელოვნად მიიჩნევს მსჯავრდებულების მიერ სოციალურ ქსელში გაკეთებულ განცხადებებს. მაგალითად, სასამართლომ უნგრეთის მთავრობა გააკრიტიკა, რადგან გამოძიების დროს სათანადო ყურადღება არ დაეთმო სოციალურ ქსელში გაკეთებულ განცხადებებს და კომენტარებს.⁷⁶

⁷³ ECtHR, *Lakatosova and Lakatos v. Slovakia*, no. 655/16, 11/12/2018, § 87

⁷⁴ ECtHR, *Lakatosova and Lakatos v. Slovakia*, no. 655/16, 11/12/2018, § 96; *Koky and Others v. Slovakia*, no. 13624/03, 12/06/2012, § 239; *Amadayev v. Russia*, no. 18114/06, 3/07/2014, § 81

⁷⁵ ECtHR, *Grigoryan and Sergeeva v. Ukraine*, no. 63409/11, 28/02/2017, §§ 94-95

⁷⁶ ECtHR, *Balazs v. Hungary*, no. 15529/12, 20/10/2015, §§ 71-75: “73. In this connection the Court finds it material, in addition to the encouraging comments posted by Mr E.D.’s acquaintances, that one of his posts pointed on the Internet to a film scene containing an overly intolerant and racist message and widely known as such (see paragraph 11 above). The prosecution failed to give any reason why this could not be regarded as an evidence of racially biased motives, especially if viewed together with Mr E.D.’s related comment, according to which the list of the types of people loathed by the character speaking in the clip could be completed with “some other types of rubbish living among us” (see paragraph 11 as well as paragraph 21 above on the Conduct of the Offender in the OSCE text).

75. Aware of its subsidiary role, the Court is mindful of it being prevented from substituting its own assessment of the facts for that of the national authorities. Nevertheless, it cannot but note that the prosecuting authorities’ insistence on identifying an exclusive racist motive, their reluctance to link Mr E.D.’s posts to the incident despite remarkable concordances and, lastly, their failure to identify the racist motive in the face of powerful hate crime indicators such as the posts resulted from a manifestly unreasonable assessment of the circumstances of the case (see paragraph 23 above). This impaired the adequacy of the investigation to an extent that is irreconcilable with the State’s obligation in this field to conduct vigorous investigations (see *Milić and Nikezić*, cited above, § 99).”

შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის სტანდარტების თანახმად, სიძულვილის მოტივის გამოკვეთისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამონათქვამებს და ბრალდებულთა პიროვნულ მახასიათებლებს.

- *ებრაელების წინააღმდეგ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები*

სახალხო დამცველს სურს, სასამართლოს ყურადღება გაამახვილოს ნაციზმის და ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასებაზე საერთაშორისო სამართლოს ჩრდილში. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთხელ უმსჯელია ნაცისტური იდეოლოგიის შესახებ. სასამართლომ განმარტა, რომ ებრაელების მიმართ ნაცისტური რეჟიმის დროს განხორციელებული სისასტიკის უარყოფა წარმოადგენს ებრაელებზე პირდაპირ თავდასხმას და მსგავსი განცხადებები მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაცისტურ იდეოლოგიასთან, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს დემოკრატიის საწინააღმდეგო და ადამიანის უფლებებისთვის მტრულ დამოკიდებულებას.⁷⁷ მეორე მსოფლიო ომის დროს განვითარებული მოვლენების ფონზე კი, განსაკუთრებით საშიში შეიძლება იყოს ანტისემიტური დამოკიდებულებები.⁷⁸

ეუთოს მიერ გამოცემული ერთ-ერთი სახელმძღვანელო ეძღვნება ებრაელების წინააღმდეგ სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებს. სახელმძღვანელოს თანახმად, ანტისემიტური სიძულვილის დანაშაულები მოტივირებულია წინასწარი განწყობით ებრაელების მიმართ. სახელმძღვანელო განმარტავს, რომ უფლების ხელმყოფები ხშირად ააშკარავენ მათ დამოკიდებულებას სიტყვიერად/სიმბოლიკით დანაშაულის ჩადენამდე, ან მის შემდეგ. ეს განპირობებულია ხელმყოფთა სურვილით, მსხვერპლს, მსხვერპლის ეთნიკურ ჯგუფს და მთლიანად საზოგადოებას გაუგზავნონ ერთგვარი შეტყობინება. გზავნილი შეიძლება იყოს სიტყვიერი შეურაცხყოფა ან გრაფიტი, რაც, თავის მხრივ, სიძულვილის მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულებაა. სახელმძღვანელო ჩამოთვლის იმ საკითხებს, რაც შეიძლება სახელმწიფოს წარმომადგენლებს ანტისემიტური განწყობის იდენტიფიკაციაში დაეხმაროს, მაგალითად, მსჯავრდებულების მიერ დანაშაულის ჩადენამდე გაკეთებული ანტისემიტური ზეპირი/წერილობითი განცხადებები, მათი ასოცირება ანტისემიტურ

⁷⁷ ECtHR, *Perincek v Switzerland* [GC], no. 27510/08, 15/10/2015, § 209

⁷⁸ ECtHR, *Perincek v Switzerland* [GC], no. 27510/08, 15/10/2015, § 243

დაჯგუფებასთან, მსჯავრდებულის ზოგადი დამოკიდებულება ებრაელების მიმართ, მისი დამოკიდებულება, თუნდაც ისრაელსა და პალესტინას შორის კონფლიქტთან, ამართლებს თუ არა მსჯავრდებული ამ კონფლიქტიდან გამომდინარე ებრაელებზე თავდასხმას და სხვა საკითხები.⁷⁹

4. დასკვნა

ზემოთგანხილული საერთაშორისო სტანდარტიდან გამომდინარე, სასურველია, სააკელაციო სასამართლომ ხელი შეუწყოს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას და შეაფასოს,

- განსახილველ საქმეში, რამდენად იყო სახეზე სიძულვილის მოტივის ის ინდიკატორები, რაც დადგენილია საერთაშორისო სამართლით;
- სიძულვილის გამოკვეთისას, რამდენად მართებულად შეფასდა ბრალდებულების იდეოლოგიის მნიშვნელობა;
- რამდენად დაუთმო საქალაქო სასამართლომ ყურადღება ბრალდებულების მახასიათებლებს - მათ მიერ გამოყენებულ სიმბოლიკას, წარსულში გამოვლენილ აგრესიას უცხოელების მიმართ;
- სამართლებრივად, რამდენად მართებულად არის შეფასებული *ნაჩოვას* საქმე და, ზოგადად, სიძულვილის მოტივის განსაზღვრისას, რა მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის ჩადენის მომენტში წარმოთქმულ სიტყვებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოგმართოთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

⁷⁹ *Understanding Anti-Semitic Hate Crimes and Addressing the Security Needs of Jewish Communities A Practical Guide*, OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), Warsaw, 2017, გვ. 48-49